ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს დეპუტატის,

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის,

თბილისის ზღვისუბნის (ნაძალადევი) მაჟორიტარის,

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტისა და
ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტის

თამარ ტალიაშვილის

2020 წლის ანგარიში

COVID-19-ის მიერ შექმნილი გამოწვევები

2020 წელმა საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, განსხვავებული პირობები და ახალი გამოწვევები შექმნა. მსოფლიოს მასშტაბით, ვირუსმა იძულებული გახადა ხელისუფლებები მასშტაბურ „lockdown"-ზე გადასულიყო, შეიცვალა ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება და საჭიროებები, შესაბამისად – ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლებების სერვისები. აქტივობები, რომლებიც მანამდე იყო დაგეგმილი, შეიცვალა და უფრო მეტად ფოკუსირდა მოქალაქეთა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფაზე.

შექმნილ ვითარებასთან გამკლავების მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მყისიერად გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში დაიწყო საკვები პროდუქტების გაცემა აღსაზრდელებისთვის, მათი ჯანსაღი განვითარებისთვის საჭირო აუცილებელი რაციონის მიღების მიზნით; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით გაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეები გათავისუფლდნენ საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან; კერძო სექტორთან თანამშრომლობით თბილისის მერიის, თბილისის საკრებულოსა და რაიონული გამგეობების ერთობლივი საქველმოქმედო პროექტებით მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა სოციალურად დაუცველი, მოხუცებისა და მრავალშვილიანი ოჯახების საკვები პროდუქტებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ასევე, მასშტაბურად დაიწყო ქუჩების, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავება; მოსახლეობის მძიმე ემოციური ფონის გასაუმჯობესებლად, დაიწყო ცოცხალ რეჟიმში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების გადაცემა, რაც მეორე მხრივ, მონაწილე კულტურის სფეროს წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ხელშეწყობის პროგრამასაც წარმოადგენდა; მუნიციპალურ სახელოვნებო სკოლებსა და არაფორმალური განათლების ცენტრების – მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისა და სახლების ფილიალების პედაგოგებს, სწავლების შეწყვეტის მიუხედავად, მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში, შეუნარჩუნდათ ხელფასების უწყვეტ რეჟიმში დარიცხვა; გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში აღნიშნულ დაწესებულებებში შემუშავდა დისტანციური პროგრამები მოსწავლეთათვის სერვისის შეუფერხებლად მიღების მიზნით, განათლებისა და კულტურის კომისიამ დაიწყო ონლაინ პროექტი #დარჩიკრეატიული, რომელიც პანდემიის რთულ დღეებში ხელოვანთა ონლაინ ჰაბად გადაიქცა და სხვა.

დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა, პირადი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, COVID-19 ფონდში 10 000 ლარი გადავრიცხე. ფონდმა მილიონობით ლარის აკუმულირება შეძლო ერთიანი ძალებით, რაც ქვეყანაში პანდემიის დაძლევას მოხმარდა.

დეპუტატი თამარ ტალიაშვილი – განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე

2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით, განათლებისა და კულტურის კომისიამ, რომლის თავმჯდომარე არის დეპუტატი თამარ ტალიაშვილი, გამართა 11 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 18 საკითხი, მათ შორის:

1. 8 ნოემბერი, 2019 წელი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34-115 დადგენილების ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. 20 ნოემბერი, 2019 წელი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

3. 26 დეკემბერი 2019 წელი

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისის 2019 წლის 26 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარის არჩევა;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (#12-0319344108-03; 10.12.2019).

4. 24 იანვარი, 2020 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში" (კოდი:08.11) ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი).

5. 6 თებერვალი, 2020 წელი

- სსიპ ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლისთვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლისთვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

6. 18 თებერვალი, 2020 წელი

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200378-03; 06.02.2020).

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200483-03; 17.02.2020).

7. 15 მაისი, 2020 წელი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელი რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა.

8. 9 ივნისი, 2020 წელი

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვა.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

9. 14 ივლისი, 2020 წელი

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2020 წლის 14 ივლისის სხდომის თავმჯდომარის არჩევა.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ „ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0320192123-03; 10.07.2020).

10. 6 აგვისტო, 2020 წელი

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

- ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების საქმიანობის ანგარიშის განხილვა;

11. 24 სექტემბერი, 2020 წელი

- დიდ დიღომში მშენებარე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მიმდინარე პროექტის ადგილზე გაცნობა; კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ანგარიშისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის შესახებ";
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა.

სამართლებრივი ინიციატივები

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა საანგარიშო პერიოდში დააყენა სამართლებრივი წინადადებებისა და აქტების პროექტების ინიცირების საკითხები, მათ შორის:

- **სამართლებრივი ინიცირება მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილებისა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი, დაშავებული, დაღუპული, უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურეებისა და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში (რეგისტრაციის პერიოდში) მყოფი სამხედრო მოსამსახურეების შვილების თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში რეგისტრაციის პროცედურის გამარტივების თაობაზე.**

დეპუტატის თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, მომზადდა სამართლებრივი ინიცირების პროექტი, რომლის თანახმადაც, ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №25-101 დადგენილებაში.

დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზანი აღნიშნული ჯგუფის პირებისთვის სოციალური გარანტიების მიცემა და მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადგომის გაძლიერება წარმოადგენს. ინიციატივის თანახმად, მათ სხვა ჯგუფებთან ერთად, რეგისტრაციის უპირატესი საშუალება მიეცათ.

- **თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის რეკომენდაცია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთის ზრდასთან დაკავშირებით**

თამარ ტალიაშვილის თავმჯდომარეობით, განათლებისა და კულტურის კომისიის რეკომენდაციები თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტისადმი, მათ შორის, გულისხმობდა:

- თბილისის საჯარო საბავშო ბაგა-ბაღებში თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული წარმატებული რეფორმების კვალდაკვალ, საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლების სახელფასო განაკვეთების ზრდას;

- მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული თანამშრომლების ღირსეული ანაზღაურების საკითხის დღის წესრიგში დაყენებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2020 წლის თებერვლის გადაწყვეტილებით, დაამტკიცა ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი, რითაც მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებულ კულტურის ობიექტებში გატარებული რეფორმების შესაბამისად, გაიზარდა შრომითი ანაზღაურება თითოეულ შტატზე 100 (ასი) ლარის ოდენობით. ასევე, გაიზარდა თბილისის საბავშო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა ხელფასებიც და 10 000 დასაქმებული ადამიანი 10-20%-ით გაზრდილ ანაზღაურებას იღებს 2020 წლის სექტემბრიდან.

- **საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილების წინადადების შესაბამისი დადგენილება თბილისში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე**

2020 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება", რასაც წინ უძღვოდა საქართელოს პარლამენტში საკანონმდებლო ცვლილების წინადადებით მიმართვა განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის მიერ. პარლამენტის მიერ აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ, თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის სახელით, მერიის შესაბამის სამსახურსა და სფეროს ექსპერტებთან ერთად დაამუშავა ახალი დადგენილების პროექტი, რომელიც შემდგომ დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ.

თამარ ტალიაშვილმა **„კულტურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების ინიცირების წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რაც განპირობებული იყო** „კულტურის შესახებ" საქართველოს კანონში „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლი (ქანდაკება)" – „არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიცია" – ცნებით ჩანაცვლების საჭიროებით. არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია გულისხმობს ნებისმიერი მასალისგან დამზადებულ ხელოვნების ობიექტს, რომელიც მოიცავს სკულპტურას, ძეგლს (ქანდაკება), ობელისკს, ინსტალაციას (კონცეპტუალური ხელოვნების ობიექტს). დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა საკანონმდებლო ცვლილებაში წარმოდგენილ ცნებასთან დაკავშირებით, სფეროს ექსპერტებთან, საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციასთან და ხელოვანებთან ერთად იმუშავა.

საკანონმდებლო ცვლილების მიზანს მუნიციპალურ ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატრული კომპოზიციების განთავსების წესის თანამედროვე ხელოვნების განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენდა. ცვლილება პარლამენტის მიერ იქნა დამტკიცებული, შესაბამისად საჭირო გახდა მისი ასახვა მუნიციპალურ დონეზე. შედეგად შემუშავდა ახალი დადგენილების პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე.

- **სსიპ ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლისთვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭებისა და სსიპ ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლისთვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე ინიცირება**

თამარ ტალიაშვილმა ინიცირების პროექტით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს სსიპ ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლისთვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭებისა და სსიპ ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლისთვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე. აღნიშნულ საკითხებზე განათლებისა და კულტურის კომისიამ სხდომის ფორმატში იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ მომავალი თაობისთვის აფხაზეთის გმირის ჟიული შარტავასა და აფხაზეთის ომში დაღუპული ჯამბულ წურწუმიას სახელების უკვდავსაყოფად აღნიშნულ სკოლებს მათი სახელები მინიჭებოდათ.

ინიცირება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად მომზადდა.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა და მონიტორინგი

საქართველოში კორონავირუსის დაფიქსირებისთანავე თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა და პერსონალის უსაფრთხოების მიზნით, შეწყდა სააღმზრდელო პროცესი, თუმცა თბილისის მერის, კახა კალაძის ინიციატივით მყისიერად დაიწყო საკვები პროდუქტების გაცემა ბავშვებისთვის აუცილებელი კვებითი რაციონით უზრუნველყოფის მიზნით და დღემდე გრძელდება. რეფორმა, რომელიც თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში უკანასკნელ წლებში გატარდა ბავშვებში, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებში, კვებითი დეფიციტის აღმოფხვრასა და მათი რაციონის მრავალფეროვანი, მაღალი საკვები ღირებულების მქონე პროდუქტებით უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა, პანდემიის დაწყებისთანავე გაიარა გადამზადების კურსი პროდუქტების გაცემის პროცესში უსაფრთხოების დაცვის წესების თაობაზე და ჩაერთო ყველა იმ კამპანიაში, რომელიც მიმდინარეობდა ქალაქში მოქალაქეთა დახმარების მიზნით. მათ შორის, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებთან ერთად, აღსაზრდელთათვის საკვები პროდუქტების გაცემის პროცესში.

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში საკვები პროდუქტების გაცემის პროცესი დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების შესაბამისად მიმდინარეობს. ბაღებში წინასწარ არის შემუშავებული განრიგი რიგების თავიდან აცილების მიზნით. საკვები პროდუქტის გაცემა ყოველ ორ კვირაში ხდება.

2014 წლიდან განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, დედაქალაქის მასშტაბით, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობასა და სისტემაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს, რისთვისაც, გარდა სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის, მომზადებისა და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ კვარტალური ანგარიშების კომისიურ ფორმატში განხილვისა, აქტიურად თანამშრომლობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან, საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან, რის ფარგლებშიც საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

ფონიჭალაში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი გახსნა

2020 წელს, ფონიჭალაში №81 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გაიხსნა, რომელიც 230 აღსაზრდელზეა გათვლილი. თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღის შენობა უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოებისა და ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემებით,

ადაპტირებულია შშმ პირთათვის, დამონტაჟებულია კამერები, რაც აღსაზრდელების მშობლებს საშუალებას აძლევს თვალი ადევნონ საკვების მზადების პროცესს, სააღმზრდელო ჯგუფებში კი სივრცეები საგანმანათლებლო და ფუნქციური დანიშნულების მიხედვითაა გადანაწილებული.

ბაღების ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი, საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრება-რეკონსტრუქციის სამუშაოების მიმდინარეობას პერიოდულად ადგილზე უწევს მონიტორინგს, მათ შორის №4, №55 და №144 საბავშო ბაგა-ბაღებში მიმდინარე სამუშაოებს. დეპუტატი ადგილზე სამუშაოების მიმდინარეობას რაიონების გამგებლებთან, ა(ა)იპ „თბილისის საბავშო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" წარმომადგენლებსა და მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად ეცნობა.

საახალწლო ღონისძიებები თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში

საახალწლო ღონისძიებები თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააღმზრდელო მეთოდოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. შესაბამისად, 2019 წლის დეკემბრის თვეში სხვადასხვა შინაარსისა და ფორმატის ღონისძიებები ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში მოეწყო.

საახალწლო ღონისძიების მიმდინარეობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი ადგილზე გაეცნო არაერთ ბაღში, მათ შორის, №35 საბავშვო ბაგა-ბაღში. დეპუტატთან ერთად ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ თბილისის საბავშო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი კახაბერ გვანცელაძე, გლდანის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე და მაჟორიტარი დეპუტატი.

№35 საბავშვო ბაგა-ბაღში ღონისძიება სახელწოდებით „საახალწლო ზღაპარქალაქი" გაიმართა, რომლის ფარგლებშიც აღსაზრდელებმა ბავშვთა მსოფლიო შვიდი ზღაპრიდან - ფიფქია და შვიდი ჯუჯა, პინოქიო, მადაგასკარი, ალადინი და ა.შ. სხვადასხვა ეპიზოდები გააცოცხლეს. ზეიმის დასასრულს კი სტუმრებთან ერთად საახალწლო ნაძვის ხე აანთეს.

ოფიციალური და სამუშაო შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა თემატიკის ოფიციალურ თუ სამუშაო შეხვედრებში. მათ შორის:

- **არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების წესის თაობაზე სამუშაო შეხვედრა**

დეპუტატის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, საჯაროობისა და საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, თბილისის საკრებულოში შედგა სამუშაო შეხვედრა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების წესის" თაობაზე.

შეხვედრას ქალაქ თბილისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, ასევე ესწრებოდნენ სფეროს ექსპერტები. შედეგად დამუშავდა ტექნიკური თუ შინაარსობრივი რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მათი გათვალისწინების შემდეგ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება, რომელიც ახლებურად და თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად აწესრიგებს დედაქალაქში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფების განთავსებას.

- **სამუშაო შეხვედრა კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსების წესის დადგენილებაში ცვლილების თაობაზე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2020 წლის აგვისტოში, რასაც წინ უძღვოდა სამუშაო შეხვედრა და კონსულტაციები სფეროს ექსპერტებთან.

დადგენილების პროექტი საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ, თამარ ტალიაშვილის თავმჯდომარეობით, განიხილა სხვადასხვა საექსპერტო ჯგუფთან, მათ შორის, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის და სხვა სახელოვნებო ასოციაციების წარმომადგენლებთან და ჩამოაყალიბა შეჯერებული

ცნებები, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, არამედ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

„კულტურის შესახებ", „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" და „დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონებსა და „სახელმწიფო ენის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონთან, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესაბამის კოდებთან – „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა" (კოდი: 07 02 01), „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა" (კოდი: 07 04), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა" (კოდი: 07 05 01), „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა" (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი" (კოდი: 08 09), „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა" (კოდი: 08 13) აღნიშნული დადგენილების პროექტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, განათლებისა და კულტურის კომისიამ სამუშაო ფორმატით განხილვის შედეგად, წარუდგინა თბილისის მერიას რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული და მიღებული იქნა.

დადგენილებაში შესატანი ცვლილებების ნაწილი კულტურის სფეროს, მნიშვნელოვანად კი საბიუჯეტო პროგრამას „შემოქმედებითი თბილისი" (კოდი: 08 09) ეხებოდა, რაც მიზნად ისახავდა აღნიშნული პროგრამის დახვეწასა და სრულყოფას პრაქტიკაში გამოვლენილი საკითხების ასახვის გზით. დადგენილების ცვლილებით მოხდა თანამედროვე შემოქმედებით სახელოვნებო სფეროში მიმდინარე პროცესების ასახვა ნორმატიულ აქტში.

- **სამუშაო შეხვედრა პროფესიული განათლების ხელშეწყობის თაობაზე**

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, კომისიის სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანი ცენტრალურ და მუნიციპალურ ხელისუფლებათა იმ ძალისხმევის კონსოლიდირება იყო, რომელსაც ისინი პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობის კუთხით ახორციელებენ. შეხვედრა დისტანციურად ონლაინ რეჟიმში წარიმართა.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი და თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა.

დისტანციურ შეხვედრაზე სამინისტროს მიერ შემუშავებული პროფესიული განათლების სტრატეგიის ფარგლებში გატარებული რეფორმის შედეგები და მიმდინარე ღონისძიებები, არაფორმალური განათლების ტრენინგ-პროგრამის, ავტორიზებული პროგრამის ფარგლებში შემუშავებული მოკლევადიანი პროგრამებისა და მომზადება-გადამზადების უფლებამოპოვებული

სასერტიფიკატო პროგრამის მიმართულებების მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები განიხილეს.

ასევე, მონაწილეებმა იმსჯელეს თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამის – „ისწავლე და დასაქმდი" შესახებ, რომლის მიზანი სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების შრომის ბაზარზე მოთხოვნად სპეციალობებში გადამზადებაა. თბილისის მერიის მასშტაბური პროგრამა 2018 წლიდან ამოქმედდა, რომლის მიზანია სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების გადამზადება შრომის ბაზარზე მოთხოვნად სპეციალობებში და დასაქმების ხელშეწყობა. 2018-1019 წლებში პროგრამას ჰყავს 2 000-მდე კურსდამთავრებული და დასაქმების მაჩვენებელი 70%-ია პროგრამის ფარგლებში თბილისის მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ოთხ პროფესიულ კოლეჯთან.

სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს პროფესიული განათლებისა და დასაქმების საერთოს ეროვნულ საქმეში თბილისის მუნიციპალური ორგანოების როლზე, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტრიბუტორზე და სამინისტროსთან ერთად დასახული შემდგომი ნაბიჯების თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ხარისხისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებას.

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივითა და შუამდგომლობით მოეწყო შემდეგი ღონისძიებები:

- **„ქართული ტრადიციული მედიცინა – წარსულიდან მომავლისკენ"**

თბილისის საკრებულოში ღონისძიება „ქართული ტრადიციული მედიცინა – წარსულიდან მომავლისკენ" გაიმართა, რომლის მიზანს ქართული მედიცინის საუკუნოვანი ისტორიისა და უნიკალურობის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა წარმოადგენდა. ღონისძიება ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის ინიციატივით მოეწყო და მასზე წარმოდგენილი იყო ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში დაცული ექსპონატები.

კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ქართული ხალხური მედიცინის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და სამეცნიერო ტურიზმის კუთხით, საქართველოს კულტურულ მარშრუტებში ჩართვის მნიშვნელობაზე.

ღონისძიების დასასრულს ქართული ტრადიციული მედიცინის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, მონაწილეებმა დააყენეს წინადადება ფიტოთერაპიაში მომუშავე სპეციალისტების ასოციაციის შექმნის შესახებ. შეხვედრაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ენდოკრინოლოგი ნინო ჭუმბურიძე მედიცინაში შეტანილი წვლილისთვის ოქროს საწმისით დაჯილდოვდა.

- **საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული პოეტის ვანლერ დაისელის მემორიალური დაფის გახსნა**

თამარ ტალიაშვილის შუამდგომლობით, თბილისში, გუნიას ქუჩის 4 ნომერში, სადაც პოეტი ვანლერ დაისელი 1920-1929 წლებში ცხოვრობდა, პოეტის მემორიალური დაფა გაიხსნა. მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიალზე აღინიშნა, რომ თბილისში ერთ-ერთ ქუჩას ვანლერ დაისელის სახელი მიენიჭება, ხოლო ზესტაფონში, მისსავე მშობლიურ სოფელში მშენებარე სკოლაში კი, პოეტის სახელობის კაბინეტი გაიხსნება. ცერემონიალს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, საზოგადო მოღვაწეები და თბილისის მერიისა და მთაწმინდის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები.

დეპუტატის, თამარ ტალიაშვილისა და მერიის მხარდაჭერით, 2018 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად გამოიცა ვანლერ დაისელის კრებული „მზის სისხლი" ლევან ჟვანიას რედაქციით, რომელიც პოეტის აქამდე უცნობ ნაწარმოებებსა და შსს-ს არქივში დაცულ

მასალებს მოიცავს. წიგნის პრეზენტაცია თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში მოეწყო.

ვანლერ დაისელმა შექმნა ახალი პოეტური ორდენი „სომნამბულიზმი". იგი არის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი პოეტი, რომელიც გმობდა რუსულ იმპერიალიზმს და ღიად ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, რისთვისაც სამშობლოდან გადაასახლეს.

- **ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის პრეზიდენტის, ანდრეს კნაპეს, ვიზიტი საქართველოს ოკუპაციის მუზეუმში**

2020 წლის თებერვალში საქართველოში პირველად ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის პრეზიდენტი ანდრეს კნაპე. ასევე, ვიზიტით იმყოფებოდა ამავე ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანდრეას კიფერი.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის, ინიციატივით, ვიზიტით მყოფი ანდრეს კნაპე საქართველოს ოკუპაციის მუზეუმში თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ერთად იმყოფებოდა და მუზეუმის მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ექსპოზიციები დაათვალიერა. ანდერს კნაპემ საოკუპაციო რეჟიმის ქმედებები დაგმო და საქართველოს ტერიტორიული სუვერენიტეტის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა.

ვიზიტის ფარგლებში, სიტუაციის ადგილზე გაცნობის მიზნით, ოფიციალური დელეგაცია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზეც იმყოფებოდა. აღნიშნულ შეხვედრაში დეპუტატი თამარ ტალიაშვილი მონაწილეობას იღებდა, როგორც ამავე კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი.

ევროსაბჭოს რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა კონგრესის პრეზიდენტის, ანდერს კნაპეს, საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, მაღალი რანგის შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა სამთავრობო უწყებში, მათ შორის, საქართველოს პარლამენტში, რომლებშიც ასევე, მონაწილეობას იღებდა დეპუტატი თამარ ტალიაშვილი.

- **შეხვედრა ისრაელის ლიდერთა ცენტრის სტუდენტებთან**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თამარ ტალიაშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესა და საკრებულოს წევრებთან – ლევან ჟორჟოლიანსა და გიორგი ჩაკვეტაძესთან – ერთად, ისრაელის ლიდერთა ცენტრ „ახალგაზრდა ელჩების" სტუდენტებს შეხვდა.

შეხვედრაზე ქართველებისა და ებრაელების განსაკუთრებულ ურთიერთობას გაუსვეს ხაზი და ებრაელ სტუდენტებს თბილისის საკრებულოს ფუნქციების და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

- **ახალი პროექტის „საავტორო საათი" პრეზენტაცია**

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, პროექტი „საავტორო საათი" შემუშავდა, რომლის ლაითმოტივს ცნობილი, წარმატებული ადამიანების მიერ ახალგაზრდებისთვის წარმატების გაზიარება წარმოადგენს. პროექტის პრეზენტაცია თბილისის საკრებულოში 2020 წლის თებერვალში მოეწყო, რომელზეც ინიციატივის ავტორმა, თამარ ტალიაშვილმა, მიზნებსა და ამოცანებზე წარადგინა ინფორმაცია.

პროექტი გულისხმობს ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების სფეროს წარმატებული წარმომადგენლების შეხვედრებსა და მასტერკლასებს თბილისის სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეებისთვის საკუთარი პროფესიული მიღწევებისა და პირად გამოცდილების გაზიარების მიზნით.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ: თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გენადი მარგველაშვილი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეები – თამარ ქიტიაშვილი და ნუნუ მიცკევიჩი, ასევე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრეზიდენტი ზვიად გაბისონია, თეატრთმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე, კინო-პროდიუსერი და მსახიობი ედმონდ მინაშვილი, სპორტული კომენტატორი ჯამლეტ ხუხაშვილი, საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე გიგა კობალაძე და ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური.

პროექტის პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ვირსალაძის სახელობის თბილისის ხელოვნების სკოლის მოსწავლის, ნინო ჩხეტიანის, ფერწერული ნამუშევრები, ხოლო საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ალიოზ მიზანდარის სახელობის თბილისის ხელოვნების სკოლის „ბიჭუნათა კაპელა" და ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის მე-19 ხელოვნების სკოლის გოგონათა სასულე ორკესტრი.

„საავტორო საათი" – თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის, თბილისის მერიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი პროექტია.

- **საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი" ღონისძიება COVID-19-ის გავრცელების ფონზე, შრომის ბაზარზე წარმოქმნილი მოთხოვნების საპასუხო სწავლების თაობაზე**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ, გიორგი დოხტურიშვილსა და თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროს, ირაკლი გვილავასთან ერთად მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრის" მიერ მოწყობილ ღონისძიებაში, რომელიც ქვეყანაში COVID-19-ის გავრცელების ფონზე, დასაქმების პირობების, შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში მომზადება - გადამზადების სასწავლო პროგრამების მიზნობრივი შექმნის საჭიროებას ეხებოდა.

თამარ ტალიაშვილის განცხადებით, პროფესიული განათლება ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, როგორც ეკონომიკური მდგრადობის მიღწევის, ისე დასაქმების მაჩვენებლის გაზრდისთვის. დეპუტატმა ასევე ისაუბრა, საქართველოს ხელისუფლების მიერ პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამებზე, მათ შორის, „ისწავლე და დასაქმდი" , რომლის ფარგლებში თბილისის მუნიციპალიტეტი პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობს.

ღონისძიების ფარგლებში ახალი სასწავლო ლაბორატორია გაიხსნა და ნამუშევართა გამოფენა მოეწყო.

- **საერთაშორისო ფესტივალის „დიოგენე 2020" გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია**

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმების, საერთაშორისო, ინტერნეტ ფესტივალის - „დარჩი სახლში და გადაიღე ფილმი – დიოგენე 2020" დაჯილდოების ცერემონიაში და ნომინაციაში „ჰუმანიზმი" გამაჯვებულს პრიზი გადასცა.

როგორც დაჯილდოების გალა ღონისძიებაზე დეპუტატმა აღნიშნა, თბილისის მერია და საკრებულო ყოველთვის იდგება მსგავსი კრეატიული და გაბედული შემოქმედებითი პროექტების გვერდით: – „ჩვენ თბილისს ვხედავთ, როგორც უდიდესი კულტურული მემკვიდრეობის მეგაპოლისს და ასევე, ვდგამთ თანმიმდევრულ, სისტემურ ნაბიჯებს მისი შემოქმედებით-ინოვაციური, თანამედროვე კონცეპტუალური შემოქმედების ცენტრად დამკვიდრებისთვის".

ფესტივალში მონაწილე ფილმების ავტორებს მხატვრულად უნდა გადმოეცათ ამბავი ადამიანთა ქცევის თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ ექსტრემალურ გარემოებაში, აესახათ თუ როგორ ატარებდნენ დროს თვითიზოლაციის პერიოდში. ფესტივალის ფარგლებში 127 ფილმი მომზადდა და მასში მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა მიიღეს.

ფესტივალი საქართველოს კინო-აკადემიის, საქართველოს კულტურის პალატის, თბილისის მერიისა და თბილისის საკრებულოსთან თანამშრომლობით განხორციელდა, საკონკურსო ჟიურის კი ელდარ შენგელაია ხელმძღვანელობდა. ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ კინო-რეჟისორები: მერაბ კოკოჩაშვილი, ლევან თუთბერიძე, ელდარ მდინარაძე, საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი. ჟიურის წევრები იყვნენ ევროპის კინო აკადემიის წარმომადგენლები.

საკონკურსო ნამუშევრები ხელმისაწვდომია კინომოყვარულთათვის, რადგან ფესტივალში წარდგენილი ყველა ფილმი გამოქვეყნებულია როგორც საქართველოს კინო-აკადემიის ვებ გვერდზე, ასევე საქართველოს კინოაკადემიის და ფესტივალის „დიოგენე 2020" („დარჩი სახლში და გადაიღე ფილმი" – „Stay Home and Make a Movie at Home" (shmmh) ფეისბუქ გვერდებზე.

- **„დღე, როცა ვერ მოკლეს ილია"**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, 2020 წლის 12 სექტემბერს ღონისძიების „დღე, როცა ვერ მოკლეს ილია" ფარგლებში, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ და საკრებულოს წევრებმა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ილია ჭავჭავაძის საფლავი გვირგვინით შეამკეს და მის ხსოვნას პატივი მიაგეს. 12 სექტემბერი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეა.

დეპუტატის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, 2014 წლიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევით, ყოველი წლის 12 სექტემბერს ეწყობა ღონისძიება „დღე, როცა ვერ მოკლეს ილია". 2014 წლიდან ამ დღისადმი მიძღვნილი არაერთი მასშტაბური ღონისძიება გაიმართა, მათ შორის, წიწამურსა და საგურამოში, თუმცა მიმდინარე წელს რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, მცირე მასშტაბით ჩატარდა.

- **#დარჩიკრეატიული – თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის Facebook პლატფორმა ხელოვანებისა და მათი შემოქმედებისთვის**

დეპუტატ თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, საყოველთაო პანდემიის დაწყებისთანავე, საზოგადოების არტთერაპიის მიზნით, განათლებისა და კულტურის კომისიის ოფიციალური გვერდი გადააკეთა ონლაინ კულტურულ ჰაბად, რომლის მიზანი ერთი მხრივ, საზოგადოებისათვის არტთერაპია და, მეორე მხრივ, შემოქმედი ადამიანებისთვის სოციალური დისტანცირების პირობებში ახალი შემოქმედებითი პროექტების განხორციელების მოტივაცია იყო.

„დარჩი კრეატიული“ წარმოადგენს თვითიზოლაციის პირობებში შექმნილი ნამუშევრების ვირტუალურ Facebook გალერეას, რომელიც ხელოვანი ადამიანებისთვის, სოციალური დისტანცირების პირობებში, ახალი შემოქმედებითი პროექტების განხორციელების მოტივაციად იქცა. ვებგვერდზე ინტენსიურად აიტვირთა ქართველ შემოქმედთა სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის ნაწარმოები, რომელიც ახალი კორონავირუსის COVID-19 მსოფლიოში გავრცელების შედეგად შექმნილი განსაკუთრებული ვითარების პერიოდში შეიქმნა.

„დარჩი კრეატიული“-ს ონლაინ გალერეაში სახვითი და ფოტოხელოვნების 70-მდე ნამუშევარი განთავსდა, მნახველთა რაოდენობამ კი 62 000-ს გადააჭარბა.

- **ახალი ორენოვანი (ქართულ-აფხაზური) წიგნის „გამშვები პუნქტი” პრეზენტაცია**

დეპუტატმა, თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის აპარატის თანამშრომლის, იურისტის, ირაკლი შამათავას წიგნის პრეზენტაციაში, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

„გამშვები პუნქტი”, – ასე დაარქვა მწერალმა ორენოვან გამოცემას, რომელიც გაგრძელებაა პროზაული გამოცემისა – „ბავშვობადაკარგული თაობა”. წიგნი გვიამბობს 1990 წლების ორად გაყოფილ საქართველოზე. ენგურს გაღმა და გამოღმა მცხოვრებ ქართველებზე, იმ ხელოვნურ ბარიკადებსა და მავთულხლართებზე, რამაც ათი ათასობით ადამიანის ცხოვრება ტრაგედიად აქცია. მოთხრობები ნაწილობრივ ავტობიოგრაფიულია და აღწერს დღევანდელი აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას, ომის სიმძაფრეს, ბავშვობისდროინდელ მოგონებებს.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ფოტომასალა, რომელიც აფხაზეთში ყოფნის დროს მწერალმა თავად გადაიღო. აღნიშნულ ფოტოებთან ერთად, ღონისძიებაზე, ასევე, ნაჩვენები იყო ფოტოგრაფისა და მწერლის, ვაჩე რაინდელის ფოტომასალა, რომელზეც აღბეჭდილია აფხაზეთში დღეს არსებული არქიტექტურული ძეგლების მდგომარეობას.

საღამოზე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ირაკლი შამათავას მიანიჭა ნიკო ლორთქიფანიძის პრემია, – ქართულ კულტურაში შეტანილი წვლილისთვის. მწერალი, ასევე არის გურამ რჩეულიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატი. 2016 წელს, მას გადაეცა პრემია ქალაქ ფოთის კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, მწერალთა და მხატვართა შემოქმედებითი კავშირების, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ცნობილი მწერლები.

კორესპონდენცია

საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა შეისწავლა და რეაგირება მოახდინა 781 საკითხსა თუ განცხადება-კორესპონდენციაზე.

მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარეს, თამარ ტალიაშვილს პირადი შეხვედრის თხოვნით მომართა 50-ზე მეტმა მოქალაქემ. კომისიის სამდივნოს მიერ ორგანიზებულ მიღებებზე მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ, პირადად განეხილათ საკუთარი საკითხი კომისიის თავმჯდომარესთან. გარდა ამისა დეპუტატი ხვდება ათეულობით მოქალაქეს და განიხილავს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს, სხვადასხვა საჯარო შეხვედრებსა თუ მიღებებზე. პანდემიის პირობებში, დეპუტატი აქტიურად იყენებდა სხვადასხვა ონლაინ პლატფორმას, მათ შორის, სოციალურ ქსელს, მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების გაცნობის მიზნით.

თბილისის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი

2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით, გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 და ბიუროს 19 სხდომა; მიღებულ იქნა 388 განკარგულება და 134 დადგენილება. დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 სხდომის მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" ჩაატარა 16 სხდომა, რომელზეც განხილული იყო 21 საკითხი. დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 12 სხდომაში და განიხილა 14 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში თამარ ტალიაშვილმა, რომლიც ასევე, არის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, მონაწილეობა მიიღო კომისიის 11 სხდომაში. აღნიშნულმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 14 სხდომა და განიხილა 23 საკითხი.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საბჭო და კომისიები

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თამარ ტალიაშვილი აქტიურად მონაწილეობს დედაქალაქში მიმდინარე პროექტების გადაწყვეტის პროცესში. იგი არის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შემდეგი კომისიებისა და საბჭოების წევრი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის საუკეთესო წინადადების შესარჩევი საკონკურსო კომისია;

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თეატრალური პროექტების განმხილველი კომისია;

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სფეროს პროექტების განმხილველი კომისია.

თამარ ტალიაშვილის, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, მიერ 2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, თამარ ტალიაშვილი არის საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ვიცე-პრეზიდენტი. ასოციაციის მიზანია, ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება, სახელმწიფო ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციების განვითარება.

ასოციაცია თანამშრომლობს მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ გაერთიანებებთან. „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია" (ათეა) არის საქართველოს მთავრობის პარტნიორი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის თვითმმართველობათა პალატაში დელეგაციის წარდგენისას.

დეპუტატი თამარ ტალიაშვილი არის ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის არჩეული ვიცე-პრეზიდენტი და მომხსენებელი პროცედურულ საკითხებში.

ასევე, დეპუტატი არის ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) ვიცე-პრეზიდენტი 2020 წლის იანვრიდან და ევროპის ადგილობრივ და რეგიონალური ხელისუფლებების კოალიციის (PLATFORMA) სპიკერი თანასწორობის საკითხებში.

საანგარიშო პერიოდში დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ პროექტებსა და ღონისძიებებში:

- **თამარ ტალიაშვილი ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს**

დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა 2020 წლის 23 იანვარს, საფრანგეთის ქალაქ ორლეანში CEMR-ის პოლიტიკის კომიტეტის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, რომელზეც ის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. აღსანიშნავია, რომ საბჭოს არჩევნებში შავი ზღვის რეგიონმა წელს პირველად მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია ევროპულ მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოში „CEMR” 2010 წლიდანაა გაწევრიანებული და აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა თემების განხილვაში.

ევროპულ მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR) უძველესი და ფართომასშტაბიანი რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ევროპული ასოციაციაა და ის ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც 41 ევროპული ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციებს აერთიანებს. ევროპულ მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო მსოფლიო ორგანიზაციის „გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველობის (UCLG)” ევროპული სექციაა.

- **სემინარი „ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე”**

სემინარი თამარ ტალიაშვილმა, როგორც ათეა-ს ვიცე-პრეზიდენტმა საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელთან – კრისტიან ურსესთან, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე ევროსაბჭოს კონგრესის თემატურ მომხსენებელთან, მიდელბურგის მერთან – ჰერალდ ბერგმანთან ერთად გახსნა.

თამარ ტალიაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ევროსაბჭოს პრინციპებისა და ღირებულებების ადგილობრივ დონეზე დანერგვისა და გაძლიერებისთვის კონგრესს მადლობა გადაუხადა და აღნიშნული მიმართულებით, ათეა-ს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრა. დეპუტატმა, ასევე, საქართველოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყნად არჩევასაც გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ აღნიშნული პლატფორმა მაქსიმალურად შეუწყობს ხელს იმ რეფორმების განხორციელებას, რომელთა შესრულების ვალდებულებაც ქვეყანას აკისრია.

სემინარზე ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებების სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების შესრულების ირგვლივ მსჯელობას, მათ შორის, გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის, უმცირესობების და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვასა და სხვა საკითხების განხილვას დაეთმო.

სამუშაო შეხვედრის შედეგები გათვალისწინებული იქნება კონგრესის მიერ მომზადებულ შეფასებაში, რომელიც ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებების რეალიზების კუთხით არსებულ მდგომარეობას და გამოწვევებს ასახავს.

➢ **აღმოსავლეთ პარტნიორობის სემინარი – „გენდერული თანასწორობის დიალოგის გაძლიერება და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა საქართველოში – მიღწევები, გამოწვევები და შესაძლებლობები"**

სემინარზე მისასალმებელი სიტყვით დეპუტატ თამარ ტალიაშვილთან ერთად, ასევე, გამოვიდა ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა განვითარების ევროპული პლატფორმის (PLATFORMA) აღმასრულებელი მრჩეველი – ბორის ტონჰაუზერი.

სემინარი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა (ათეა) და PLATFORMA-ს ორგანიზებით და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციების ქსელის (NALAS) მხარდაჭერით გაიმართა. შეხვედრას საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, კერძოდ, უკრაინისა და მოლდოვის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და დარგის ექსპერტები ესწრებოდნენ.

გამომსვლელებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, თანამშრომლობის გზებსა და პერსპექტივებზე გაამახვილეს ყურადღება.

თამარ ტალიაშვილმა გამოსვლაში საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე აღებულ ვალდებულებებს გაუსვა ხაზი და „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ" ევროპულ ქარტიაზე გაამახვილა ყურადღება.

სემინარზე გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ ელექტრონული კურსის პრეზენტაცია მოეწყო, რომელიც საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ადგილობრივი თვითმმართველობებისა და თვითმმართველობათა ასოციაციებისთვის NALAS-ის გენდერული თანასწორობის ექსპერტმა – სემრა ამეტიმ წარადგინა. ონლაინ ტრენინგი, 2020 წლის მარტიდან დაიწყო და ცნობიერების ამაღლებასა და გენდერული თანასწორობის საკითხებში PLATFORMA-ს მხარდაჭერის ინფორმირებულობას ისახავდა მიზნად.

სამუშაო შეხვედრაზე, ასევე, მოეწყო პრეზენტაცია, რომელიც NALAS-ის რეგიონული დეცენტრალიზაციის სადამკვირვებლო (RDO) ინდექსის მონიტორინგის ინსტრუმენტად წარმოჩენასა და მისი გამოყენებით დეცენტრალიზაციის მაჩვენებლისა და ადგილობრივი მმართველობის ხარისხის ოთხი კრიტერიუმით – ადგილობრივი თვითმმართველობების ავტონომიის, მონაწილეობისა და ანგარიშგების, ასევე ადგილობრივი მომსახურების ხარისხისა და მთავრობათაშორისი დიალოგის შეფასებას შეეხებოდა.

სემინარი PLATFORMA-ს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში გაიმართა და მის მიზანის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დეცენტრალიზაციისა და ადმინისტრაციული რეფორმების, აგრეთვე ცენტრალურ ხელისუფლებასა და ევროპულ ინსტიტუტებთან პოლიტიკური დიალოგის წარმართვის პროცესის მონიტორინგი წარმოადგენდა.

- **ევროსაბჭოს კონგრესის დელეგაცია რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონის გამყოფ ხაზთან**

საქართველოს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის ფარგლებში, ქვეყანაში პირველი ოფიციალური ვიზიტით მყოფი ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის დელეგაცია რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონის გამყოფ ხაზთან არსებული ვითარებას ადგილზე გაეცნო.

თამარ ტალიაშვილი კონგრესის პრეზიდენტთან – ანდერს კნაპესა და კონგრესის გენერალურ მდივანთან ანდრეას კიფერთან, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) ვიცე-პრეზიდენტთან, გიორგი ტყემალაძესთან გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთში იმყოფებოდა, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მიმდებარე საოკუპაციო ხაზთან არსებულ სიტუაციას პირადად გაეცნო.

ევროსაბჭოს დელეგაციის უმაღლესმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ოკუპირებულ რეგიონში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, აუცილებელია დასავლელი პარტნიორების მაქსიმალური ინფორმირება. სწორედ მათთვის ინფორმაციის მიწოდებას ემსახურებოდა დელეგაციის ვიზიტი ხურვალეთში.

ევროსაბჭოსა და ათეა-ს წარმომადგენლებთან ერთად, ხურვალეთში, საქართველოს პრემიერის მრჩეველი რეგიონული განვითარების საკითხებში – სოზარ სუბარი და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული – გიორგი ხოჯევანიშვილი, ასევე საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) აღმასრულებელი დირექტორი – დავით მელუა იმყოფებოდნენ.

- **ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა განვითარების ევროპული პლატფორმის (PLATFORMA) პოლიტიკური საბჭოს სხდომა**

ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესისა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა - თამარ ტალიაშვილმა ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა განვითარების ევროპული პლატფორმის (PLATFORMA) პოლიტიკური საბჭოს სხდომაში მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრა, რომელიც ონლაინ რეჟიმში წარიმართა, პლატფორმის 2021-2030 წლების სტრატეგიის ჩარჩო ხელშეკრულებაზე მსჯელობას დაეთმო. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პლატფორმის სტრატეგიული ჩარჩო ხელშეკრულება გრძელვადიან პერსპექტივაში მისწრაფებებსა და სისტემურ ცვლილებებზეა ორიენტირებული, თუმცა 2020 წლის მაგალითიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება მოკლევადიანი და ზუსტი ხედვის დაგეგმვა, რაც სხდომის მონაწილეების განცხადებით, ბევრად გაამარტივებს მიზნის მიღწევას.

- **ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ბიუროს სხდომა**

დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა, ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ბიუროს სხდომაზე, რომელიც ონლაინ რეჟიმში წარიმართა, ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩმა განსაკუთრებით აღნიშნა ევროსაბჭოში საქართველოს თავმჯდომარეობის პერიოდში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინიციატივები.

მარია-ბურიჩმა განმარტა, რომ „COVID-19”-ის პანდემიის მიუხედავად საქართველომ შეძლო, ეფექტიანად წარემართა პროცესები და შეესრულებინა ის მნიშვნელოვანი და ფართო სპექტრის მომცველი ვალდებულებები, რაც ევროპის საბჭოს კომიტეტში თავმჯდომარეობას გულისხმობს.

საქართველოს თავმჯდომარეობა შეაფასა ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის პრეზიდენტმაც. ანდერს კნაპეს განცხადებით, ქვეყანამ პანდემიის პირობებშიც კი, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების მიმართულებით.

თამარ ტალიაშვილმა საქართველოს თამჯდომარეობის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრა და ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვის საკითხებზე, საქართველოს თავმჯდომარეობის დეკლარაციას გაუსვა ხაზი. თამარ ტალიაშვილის თქმით, საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც ეკოლოგიური და კლიმატური გამოწვევების ფონზე, ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის შორის არსებული კავშირი თავმჯდომარეობის პრიორიტეტად აღიარა.

თამარ ტალიაშვილის განცხადებით, ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვის საკითხებზე, საქართველოს თავმჯდომარეობის დეკლარაცია ევროპის საბჭოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. სწორედ მისი მიღებით, ჯანსაღმა გარემომ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა იერარქიაში თავისი ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. საქართველოს ინიციატივით ამ დეკლარაციის მიღებამ ევროპა გლობალური დათბობის გამოწვევების დაძლევაში ფლაგმანად აქცია. მისივე განმარტებით, გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე

მიღებულმა საქართველოს თავმჯდომარეობის დეკლარაციამ მაღალი შეფასება, როგორც ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობის, ასევე აღნიშნული ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მხრიდან დაიმსახურა.

თამარ ტალიაშვილმა ასევე, COVID-19-თან ბრძოლის კუთხით საქართველოს მიღწევებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქვეყანამ წარმატებით გაართვა თავი მსოფლიო პანდემიის პირველი ტალღის შეკავებას, რაშიც უდიდესი წვლილი მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, პროფესიონალ ექიმებსა და სამოქალაქო საზოგადოებას მიუძღვის.

- **თამარ ტალიაშვილმა PLATFORMA-ს ვებინარში მიიღო მონაწილეობა**

ონლაინ შეხვედრა, რომელსაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, თამარ ტალიაშვილმა, როგორც თანასწორობის საკითხებში ევროპის ადგილობრივ და რეგიონალური ხელისუფლებების კოალიციის (PLATFORMA) სპიკერმა გახსნა. ვებინარი საგარეო ურთიერთობებში, ევროკავშირის 2021-2025 წლის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხილვას დაეთმო.

თამარ ტალიაშვილმა კოლეგებს COVID-19-ის პანდემიის ფონზე, დისკუსიაში ჩართვისთვის მადლობა გადაუხადა და გენდერული თანასწორობის საგარეო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) ჩართულობაზე ისაუბრა. თამარ ტალიაშვილმა დისკუსიისას როგორც აღნიშნა, ათეა-ს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა გახდა. შედეგად, სულ რამდენიმე წელიწადში ჩვენ შევცვალეთ ორგანიზაციის შიდა სტრუქტურა და განვახორციელეთ რამდენიმე პროექტი აღნიშნული მიმართულებით, რაც საბოლოოდ დასრულდა პირველი ქართული მუნიციპალიტეტების მიერ თანასწორობის ევროპული ქარტიის ხელმოწერით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის ფონზე ორგანიზაცია, გაეროს მხარდაჭერით, აქტიურად აგრძელებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაციის პროექტზე მუშაობას. ამასთან, ევროკავშირის გენერდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა III-ის (GAP III) პრიორიტეტები წარმოადგინა, რომელიც ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების ჩართულობის გაზრდასა და პარტნიორ სახელმწიფოებში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიზნების მიღწევას გულისხმობს.

თამარ ტალიაშვილის განცხადებით, საქართველოს მუნიციპალიტეტები დიდი პასუხისმგებლობით ერთვებიან მმართველობით საკითხებში, რომლებიც GAP III-ის პროგრამირებასა და ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საგარეო ურთიერთობებში, ევროკავშირის 2021-2025 წლის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა მზადების პროცესშია და სავარაუდოდ 2020 წლის ოქტომბრის ბოლომდე გამოქვეყნდება.

- **ევროპის საბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომა**

დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა ათეა-ს აღმასრულებელი საბჭოსა და ევროპის საბჭოს კონგრესის წევრთან – ნინო ქავთარაძესთან ერთად ევროპის საბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაში მიიღო მონაწილეობა.

სხდომაზე, რომელიც ონლაინ რეჟიმში წარიმართა, წევრი ქვეყნების მიერ წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მონიტორინგის შედეგებზე, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე, ასევე COVID-19-ით გამოწვეული მსოფლიო კრიზისის დაძლევის გზებზე იმსჯელეს და პანდემიის პირობებში ადგილობრივი და რეგიონული არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიშები განიხილეს.

- **ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის საწესდებო ფორუმი**

დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა ათეა-ს აღმასრულებელი საბჭოსა და ევროპის საბჭოს კონგრესის წევრთან – ნინო ქავთარაძესთან ერთად ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის საწესდებო ფორუმში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ონლაინ რეჟიმში გაიმართა.

თამარ ტალიაშვილმა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ბრძოლის მექანიზმების გამოყენებაზე ისაუბრეს და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქართული მხარე განსაკუთრებით აფასებს ევროპის საბჭოს მტკიცე პოზიციას, რომელმაც არაერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.

დეპუტატის განცხადებით, მოსკოვი განაგრძობს მცდელობებს, დაარწმუნოს საერთაშორისო თანამეგობრობა ე.წ. „ალტერნატიულ რეალობებში", რათა მოახდინოს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის ლეგიტიმაცია და აირიდოს პასუხისმგებლობა, როგორც ოკუპანტმა ძალამ. ამისთვის რუსეთი აქტიურად იყენებს პროპაგანდის ყველა ინსტრუმენტს, ასევე ჰიბრიდული ბრძოლის ხერხებსა და მექანიზმებს. რუსეთი არ იშურებს ძალისხმევას ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, გაავრცელოს ისეთი ტერმინები, როგორიც არის „სეპარატისტული ბრძოლა", „საზღვარი აფხაზეთსა და საქართველოს შორის", „საზღვარი სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის", „შიდა კონფლიქტი" და სხვა. ამ გზით, რუსეთი ცდილობს საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერებაში საქართველოდან განაცალკევოს აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონები და ოკუპირებული ტერიტორიები წარმოაჩინოს" დამოუკიდებელ სახელმწიფოებად", რომლებიც „სეპარატისული ბრძოლის შედეგად გამოეყვნენ" საქართველოს.

ვიდეო-ფორუმზე ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიასა და პანდემიის პირობებში გამართული არჩევნების ანგარიშებზეც იმსჯელეს და კრიზისულ პერიოდში დემოკრატიის საფრთხეები განიხილეს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზღვისუბნის (თემქა) მაჟორიტარი დეპუტატის – თამარ ტალიაშვილის წარმომადგენლობის მიერ 2019 ნოემბრიდან 2020 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის, ზღვისუბნის (თემქა) მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობაში (ოფისში), რომელიც მდებარეობს ზღვისუბნის (თემქა) X კვარტლის №25 კორპუსის მე-2 სართულზე, კიდევ უფრო აქტიურ რეჟიმში განაგრძობს ყოველდღიურ მუშაობას მიუხედავად მსოფლიო პანდემიად აღიარებული COVID-19-ისა და ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებისა. ამოქმედდა განცხადების მიღების ონლაინ პლატფორმა, რითაც მოქალაქეებს შეეძლოთ სახლიდან გაუსვლელად, დისტანციურად, მიემართათ დეპუტატისთვის განცხადებით ყველა საჭირო საკითხის შესახებ.

პანდემიის პირობებში, დედაქალაქის მერიამ და საკრებულომ შეიმუშავა ერთობლივი კამპანია თბილისის მასშტაბით, შეჭირვებულ მოქალაქეთა დასახმარებლად. კამპანიის ფარგლებში, მაჟორიტარი დეპუტატი თამარ ტალიაშვილი თანამშრომლობდა სხვადასხვა კერძო კომპანიებთან, რომლებმაც მუნიციპალიტეტს გადმოსცეს საკვები პროდუქტები და პირველადი ჰიგიენური ნივთები.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საკვებ პროდუქტებსა და პირველადი მოხმარების ნივთებს ზღვისუბანში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს პირადად გადასცემდა რეგულაციების დაცვით. გარდა ამისა, მათგან ისმენდა მათთვის აქტუალურ საკითხებსა და საჭიროებებს შემდგომი რეაგირების მიზნით.

გარდა ამისა, მაჟორიტარმა დეპუტატმა პირადი კონტაქტებითა და წარმომადგენლობის აქტიური მუშაობით, შეძლო კერძო სექტორის სხვადასხვა წარმომადგენლის ჩართვა საქველმოქმედო კამპანიაში. შედეგად, გადასცა მოქალაქეებს პროდუქტების, პირველადი მოხმარების ნივთებისა და მედიკამენტების ვაუჩერები. კამპანიის ფარგლებში, წარმატებული თანამშრომლობა შედგა შემდეგ კომპანიებთან: „ავერსი", „ნიკორა", „სპარი" და „უნივერსამი".

საერთო ჯამში, მაჟორიტარი დეპუტატი 400-მდე ოჯახს დაეხმარა, რომლებიც განსაკუთრებულად მოწყვლადი იყო COVID-19-ით შექმნილ ვითარებაში.

ასევე, პანდემიის პირობებში, დედაქალაქის მასშტაბით, შემუშავდა პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფისთვის – მოხუცებისთვის, რის ფარგლებშიც სახლში გადაეცემოდათ საკვები პროდუქტები. წარმომადგენლობა, თანამშრომლობდა გამგეობასთან და ზღვისუბანში მცხოვრებ

აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლების შესახებ აწვდიდა ინფორმაციას, რის შედეგადაც, ისინი იღებდნენ დახმარებას.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია მოქალაქეთა ყოველკვირეულ მიღებას, რომელზეც მაჟორიტარი დეპუტატი თამარ ტალიაშვილი პირადად ეცნობოდა მოქალაქეთა საჭიროებებს წარმომადგენლობის ოფისში. აღნიშნული მიღების ფარგლებში 2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით პირადად შეხვდა 300-მდე მოქალაქეს. თუმცა ქვეყანაში Covid-19-ის დაფიქსირების შემდგომ, წარმომადგენლობა დისტანციურ რეჟიმში აგრძელებს კომუნიკაციას მოქალაქეებთან მათი საჭიროებების ჩანიშვნის, სისტემატიზაციისა და შესაბამის უწყებებში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით წარდგენის მიზნით.

მაჟორიტარი დეპუტატი მოქალაქეთა საკითხებს, ასევე, ეცნობოდა სხვადასხვა საქველმოქმედო კამპანიების ფარგლებში, მოქალაქეთათვის საკვებისა და სხვადასხვა პირველადი მოხმარების ნივთების პირადად გადაცემის დროსაც. შესაბამისად, თამარ ტალიაშვილი, საანგარიშო პერიოდში, პირადად შეხვდა და გაეცნო 1000-მდე ზღვისუბნის მოქალაქის საჭიროებებს და კომპეტენციის ფარგლებში, გაუწია კონსულტაცია.

საანგარიშო პერიოდში, მაჟორიტარი დეპუტატის მიერ 1000-ზე მეტი კორესპოდენცია/საკითხი იქნა განხილული.

საქალაქო მნიშვნელობის „ზღვისუბნის პარკი"

ზღვისუბნის და არა მარტო, მოსახლეობის უპირველესი მოთხოვნა „თემქის ხევის" საკითხის მოგვარება წარმოადგენს, რაზეც მაჟორიტარ დეპუტატთან, თამარ ტალიაშვილთან, მომართვიანობის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. შედეგად, დეპუტატის ძალისხმევითა და წარმომადგენლობის კოორდინირებული მუშაობით, თბილისის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, ითვალისწინებს თბილისის ზღვისუბანში საქალაქო მნიშვნელობის პარკის მოწყობას, ე.წ. „თემქის ხევის" ადგილზე. თემქის ხევი, წლების განმავლობაში, წარმოადგენდა საშიშროებას მოსახლეობისთვის მწერებისა და ქვეწარმავლების მხრივ და ზრდიდა ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეს.

მიუხედავად ეპიდემიოლოგიური ვითარებისა, „ზღვისუბნის პარკის" მასშტაბური პროექტი არ შეფერხებულა, ისე როგორც არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დედაქალაქის მასშტაბით. შესაბამისად, 2020 წლის აგვისტოში საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შესაბამისად, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის პარკის მოწყობის სამუშაოების შესახებ 45 მილიონამდე ლარის ფარგლებში. მოცემული დროისთვის

მიმდინარეობს ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენა, სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების განხორციელება 2021 წელს უნდა დასრულდეს.

საკითხისა და მიმდინარე პროცესისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, წარმომადგენლობის ორგანიზებით, 2019 წლის 16 დეკემბერს „ზღვისუბნის პარის" პროექტის საჯარო განხილვა მოეწყო, სადაც ზღვისუბნის მოსახლეობას ჰქონდა საშუალება დაეფიქსირონ საკუთარი მოსაზრება პარკთან დაკავშირებით. მსგავსი ტიპის შეხვედრები მნიშვნელოვანია საჯარო სივრცეების მოწყობის პქოცესში, სადაც მოქალაქეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებმა; ასევე, ზღვისუბნის პარკის პროექტის შექმნაზე ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიის წარმომადგენლებმა და ზღვისუბნის მოსახლეობა.

კეთილმოწყობის სამუშაოები ზღვისუბანში

ზღვისუბანში, სკვერებისა და საჯარო სივრცეების მოწყობისთვის, დეპუტატი თამარ ტალიაშვილი აქტიურად თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ მოქალაქეებთან ადგილების შერჩევის მიზნით, ისე მუნიციპალიტეტსა და ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან. აღნიშნული პროცესი არ შეჩერებულა COVID-19-ს მიუხედავად და შედეგად:

ზღვისუბნის მე-4 მკ/რ მე-5 კორპუსის მიმდებარედ 2 215 კვ.მ-ზე ახალი სკვერი მოეწყო. პროექტის ფარგლებში, დამონტაჟდა საბავშვო გასართობი ატრაქციონები, დასასვენებელი პავილიონი, მოეწყო სარწყავი სისტემა, გარე-განათების ქსელი, ბალახის საფარი, ფილები, ბორდიური და საპარკე ინფრასტრუქტურა, ასევე, შესრულდა გამწვანების სამუშაოები. სამუშაოების მიმდინარეობასა და გახსნის ღონისძიებას დეპუტატი პირადად გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა;

ახალი სკვერი მოეწყო ზღვისუბნის მე-10 კვარტლის 25-ე კორპუსის მიმდებარედ(№22 საბავშვო ბაგა-ბაღის წინ). სამუშაოების ფარგლებში კეთილმოეწყო გასართობი მოედანი, ატრაქციონები, კალათბურთისა და ფეხბურთს მოედნები ტრიბუნით, საპარკინგე ზონა, გარე განათების ქსელი და სარწყავი სისტემა.

მიმდინარეობს ზღვისუბნის მე-11მ/რ I კვარტლის მე-2 კორპუსის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები.

- ✓ დამონტაჟდა 18 საპარკე სკამი;
- ✓ 3მ/რ 1კვ. 13 კორპუის მიმდებარედ რეაბილიტაცია ჩაუტარდა სტადიონს;

- ✓ ზღვისუბნის IX კვარტლის №14 კორპუსებთან რეაბილიტირებულ იქნა სპორტული მოედანი, რომლის ფარგლებშიც მოეწყო გალვანიზირებული ლითონის ბადეები;
- ✓ რეაბილიტაცია ჩაუტრდა, სპორტული მოედანი, 4მ/რ 6 კორპუსის მიმდებარედ.

მოეწყო საბავშვო ატრაქციონები შემდეგ მისამართებზე:

- ✓ ზღვისუბნის VI კვ. №1-2 კორპუსებს შორის.
- ✓ ზღვისუბნის X კვ. №36 ა კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის №159-ე სკოლის მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. I კვ. №16 ბ კორპუსების მიმდებარედ.
- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. II კვ. №29 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის III მ/რ IVკვ. №62-65 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის III მ/რ Vკვ. № 14 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის IX კვ. № 16-17 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის IV კვ. №8 კორპუსებს მიმდებარედ.

გარე გამოყენების ფიტნეს-ტრენაჟორები მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- ✓ ზღვისუბნის X კვ. № 36 ა კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის IV კვ. №7 კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის III მ/რ. IVკვ. № 56 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის X ა კვ. № 42 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. III კვ. № 54 ა კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის IV მ/რ. № 65 კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის X ა კვ. № 38 კორპ. მიმდებარედ.

დაგეგმილია ახალი საბავშვო ატრაქციონებისა და გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა შემდეგ მისამართებზე:

- ✓ ზღვისუბნის III მ/რ. III კვ. №43 კორპუსთან
- ✓ ზღვისუბნის III მ/რ. II კვ. №31 კორპუსთან
- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. II კვ. №38 ა კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის IX კვ. №22 კორპ. მიმდებარედ.

საანგარიშო პერიოდში ზღვისუბანში, ასევე, მიმდინარეობს შემდეგი კეთილმოწყობითი სამუშაოები:

გრძელდება ზღვისუბნის IV მ/რ. მეწყერსაშიშ ზონაში მდებარე 3 თექვსმეტსართულიანი კორპუსის პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით გამაგრებითი სამუშაოები. საკითხის მნიშვნელობიდან და მყისიერად გადაჭრის აუცილებლობიდან გამომდინარე, პრობლემის წამოჭრისთანავე დეპუტატი ადგილზე იმყოფებოდა დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან და მის მოადგილესთან ირაკლი ბენდელიანთან ერთად.

გრძელდება ზღვისუბნის IX კვ. №23 კორპუსთან 5 კუბურამდე მეტრი მიწის ჩამოშლის საკითხის მოგვარება. მოსახლეობასა და შესაბამის უწყებებთან კომუნიკაცით, დეპუტატმა დააყენა შუამდგომლობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან, საკითხის კომპლექსურად შესწავლის მიზნით, რაც არა მხოლოდ ზღვისუბნის IX კვ. №23-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის გამოკვლევას, არამედ IX კვ. №23 „ა", გურამიშვილის №41 „გ" და „თ" კორპუსების მიმდებარე ტერიტორიების გამოკვლევასაც გულისხმობდა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

- ✓ წყალ-კანალიზაციის მილების შეიცვალა 22 კორპუსში;
- ✓ ბრტყელი და ქანობრივი სახურავით გადაიხურა 10კორპუსი;
- ✓ წყალსაწრეტი მილები შეიცვალა 9 კორპუსში;
- ✓ სენსორული განათება დამონტაჟდა 4 კორპუსში;
- ✓ ლიფტი დამონტაჟდა 25კორპუსში;
- ✓ სადარბაზოს კარის გაკეთდა 2 კორპუსში;
- ✓ კაპიტალური გამაგრების სამუშაოები ჩაუტარდა 1 კორპუსს;
- ✓ ზღვისუბნის 11მ/რ მე-3 კვარტლის №49, №48 და №47 კორპუსებში გამოიცვალა კანალიზაციის მილები.

მიმდინარეობს ზღვისუბნის მე-11 მკრ.რ-ის I კვარტლის 21ა კორპუსის (არაშენდა) ლიფტის მოწყობის სამუშაოები.

მაჟორიტარი დეპუტატის, თამარ ტალიაშვილის, აქტიური თანამშრომლობს შედეგად თბილსერვის ჯგუფსა და ნაძალადევს გამგეობასთან, ზღვისუბანში საახალწლო განათებები და ილუმინაციები მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- ➢ ანაპის 414 დივიზიის ქუჩა (სარაჯიშვილის მეტროდან - ღია გულამდე);
- ➢ ძველი გამგეობიდან - მე-3 მ.რ. №23 კორპუსამდე;
- ➢ ურეკის ქუჩა.

საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესების პოლიტიკა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. COVID-19 კიდევ უფრო მკაფიოდ დააყენა გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებობა და ამ მხრივ დედაქალაქს მნიშვნელოვანი წარმატებული და მასშტაბური ნაბიჯები უკვე ჰქონდა გადადგმული.

ისე როგორც მთელი ქალაქის მასშტაბით, საანგარიშო პერიოდში, აქტიურად მიმდინარეობდა ახალი ავტობუსების შემოყვანა ზღვისუბანში. მათ შორის, №62, №60 და №17 სამარშრუტო ხაზზე მოძრავი ავტობუსები ჩანაცვლდა ევროსტანდარტების შესაბამისი და შშმ პირებზე ადაპტირებული ახალი ავტობუსებით.

საერთო ჯამში, ზღვისუბანში საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოლიტიკის ფარგლებში, 5 ხაზზე - №95, №75, №62, №60 და №17 მგზავრები კომფორტულად და უსაფრთხოდ გადაადგილდება. მაჟორიტარმა დეპუტატმა, თამარ ტალიაშვილმა ტრანსპორტის ჩანაცვლების პროცესში მოქალაქეებსა და თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად მიიღო მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სოციალური საჭიროებების წინა პლანზე გადმოწევისა, ზღვისუბანში არ შეჩერებულა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს დეპუტატი თამარ ტალიაშვილი ნაძალადევის რაიონის გამგებელსა და გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად პირადად გაეცნო ადგილზე. საანგარიშო პერიოდში, მოეწყო შემდეგი საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები:

- ✓ ასფალტის საფარი დაიგო ზღვისუბანში 3 მ/რ მე-2 კვ. № 27 კორპუსთან;
- ✓ საკანალიზაციო სისტემა მოეწყო და ასფალტი დაიგო ზღვისუბნის 11მ/რ მე-3 კვარტლის №49, №48 და №47 კორპუსების მიმდებარედ;
- ✓ შიდაკვარტლური გზების მოწესრიგების ფარგლებში, საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო ზღვისუბნის XI მიკრორაიონის II კვარტალში, №20-34 კორპუსების მიმდებარედ.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

წარმომადგენლობა, თავისი კომპეტენციისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს იმ მოქალაქეთა მხარდაჭერას, რომლებიც სამედიცინო საჭიროებების მოგვარების

მიზნით მოგვმართავენ, რისთვისაც კოორდინირებულად მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ასევე, სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებსა, თუ ამ სფეროს სპეციალისტებთან.

საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობამ დააყენა 168-ზე მეტი შუამდგომლობა სამედიცინო გამოკვლევასთან, მედიკამენტოზურ და ოპერაციულ მკურნალობასთან დაკავშირებით, ასევე, ერთჯერად ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით, რომელთა უმრავლესობა დაკმაყოფილებულია.

სოციალური სტატუსის მინიჭების, აღდგენის ან სოციალური მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიღების თხოვნით, წარმომადგენლობაში მოსულ ათობით მოქალაქეს გაეწიათ კონსულტაცია სოციალური კრიტერიუმების შესახებ. მოქალაქეთა მხრიდან მაღალია მომართვიანობა ქირით უზრუნველყოფის, უფასო სასადილოებით სარგებლობისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის თაობაზე.

აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით, მაჟორიტარს და მის წარმომადგენლობას აქვს პარტნიორული და აქტიური თანამშრომლობა გლდანი-ნაძალადევის რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ნაძალადევის გამგეობასთან, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის შესაბამის საქალაქო სამსახურთან.

უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადაცემა მოქალაქეებისთვის

მიმდინარე წელს თბილისის მერის ინიციატივით, ასობით მოქალაქეს დედაქალაქის მასშტაბით უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადაეცათ, მათ შორის, ზღვისუბნის 4 ოჯახს დაუკანონდათ მრავალი წლის განმავლობაში მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მფლობელობაში არსეული ავტო-ფარეხების დაკანონების პროცესი, მათ შორის, მაჟორიტარი დეპუტატის თამარ ტალიაშვილის, შუამდგომლობით, ზღვისუბნის 10-მდე ოჯახს გადაეცათ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მიმდინარეობს ზღვისუბანის მე-11 მკრ.რ-ის I კვარტლის 21ა კორპუსის (არაშენდა) აზომვითი სამუშაოები, რათა მოხდეს დარჩენილი ოჯახებისთვის მრავალი წლის განმავლობაში, მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების დაკანონება. მიმდინარეობს ფართების აზომვა და დაკანონება.

მაჟორიტარის შუამდგომლობით, მიმდინარეობს ზღვისუბნის ურეკის №5 (ყოფილი საბავშვო ბაღი) მცხოვრები 45-მდე სოციალურად დაუცველი და დევნილი ოჯახებისთვის საკუთრებაში არსებული ფართების გადაცემისა და დაკანონების პროცესი.

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები

- ზღვისუბნის მაჟორიტარი დეპუტატი თამარ ტალიაშვილი აქტიურად არის ჩართული ზღვისუბანში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-ახალგაზრდულ ღონისძიებებში, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:
- საქართველოს ღია ჩემპიონატი ცურვაში, რასაც ზღვისუბანში მდებარე სპორტულმა ცენტრმა უმასპინძლა. დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა დაჯილდოების ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა. ჩემპიონატში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანელი სპორტსმენები.
- ზღვისუბნის სკოლის მოსწავლეების ვიზიტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში – მაჟორიტარმა დეპუტატმა ახალგაზრდებს საკრებულოს ისტორიულ შენობაში უმასპინძლა საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ტყემალაძესთან ერთად უმასპინძლა. დეპუტატებმა ახალგაზრდებს საკრებულოს მუშაობის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია და მათ კითხვებს უპასუხეს.
- მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით, მოეწყო შეხვედრა ზღვისუბანში მდებარე კორპუსის თავმჯდომარეებთან, რომელზეც დეპუტატმა მათთან ერთად ზღვისუბნის საჭიროებები განიხილა და დამდეგი შობა-ახალი წელი.
- მაჟორიტარი დეპუტატის თამარ ტალიაშვილის შუამდგომლობით, ზღვისუბანში საახალწლო კონცერტი მოეწყო, რომელშიც მონაწილეობას იღებდა თბილისის მერიის „ბიგ-ბენდი" და ესტრადის ცნობილი ვარსკვლავები, მათ შორის, მაია ბარათაშვილი, თემო საჯაია, ნესტან ჯიბლაძე, ნინო გველესიანი, ვასილ დოლიძე;
- მაჟორიტარმა დეპუტატმა ზღვისუბანში მცხოვრებ ნადეჟდა ხვედელიანს 100 წლის იუბილე მიულოცა რაიონის გამგებელთან ირაკლი ხელაძესთან და თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსთან გელა ჩივიაშვილთან ერთად;
- მაჟორიტარმა დეპუტატმა, თამარ ტალიაშვილმა, ზღვისუბანში მცხოვრებ ფილოლოგ, ღვაწლმოსილ ქალბატონს, 89 წლის ნინო ნოზაძეს 8 მარტი მიულოცა.